დანართი №2

დამტკიცებულია
სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
15.11.2013წ. №145/01-01 ბრძანებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის პროფესორ იოსებ ყიფშიძის სახელის უკვდავსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, ვადები და სამუშაო ჯგუფები

1. დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში პროფ. იოსებ ყიფშიძის ნეშტის გადმოსვენება - 2013 წლის ბოლომდე (სამუშაო ჯგუფი: დავით ჩომახიძე - ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი ტალახაძე, ირაკლი საღარეიშვილი, ზურაბ გაიპარაშვილი, ეთერ ქავთარაძე);

2. თსუ პირველ კორპუსში იოსებ ყიფშიძის სახელობის აუდიტორიაში მემორიალური კუთხის მოწყობა - 2013 წლის ბოლომდე (სამუშაო ჯგუფი: ზურაბ გაიპარაშვილი - ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი ტალახაძე, ირაკლი საღარეიშვილი, მაია გურაბანიძე, ეთერ ქავთარაძე).

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში გადმოსვენებული იოსებ ყიფშიძის საფლავზე ძეგლის დადგმა - 2014 წლის შემოდგომა (სამუშაო ჯგუფი დავით ჩომახიძე - ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი ტალახაძე, ირაკლი საღარეიშვილი, ზურაბ გაიპარაშვილი, მაია გურაბანიძე, ეთერ ქავთარაძე);

4. იოსებ ყიფშიძის ნაშრომების მეორე ტომის გამოცემა - 2014 წლის შემოდგომა (სამუშაო ჯგუფი: ზურაბ გაიპარაშვილი - ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი გოგოლაშვილი - სამუშაო ჯგუფის კონსულტანტი, თამარ ებრალიძე - თსუ გამომცემლობის დირექტორი, ევგენია ლილუაშვილი - თსუ მუზეუმის უფროსი სპეციალისტი, ლევან ბებურიშვილი - თსუ ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების გამგე, ეთერ ქავთარაძე);

5. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების 95-ე წლისთავის აღსანიშნავად სამეცნიერო კონფერენციის გამართვა - 2014 წლის შემოდგომა (სამუშაო ჯგუფი: დარეჯან თვალთვაძე - ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი გოგოლაშვილი - ჯგუფის კონსულტანტი, ეთერ ქავთარაძე).